სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18870400375726

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261203511

რეგისტრაციის თარიღი

01.09.2026 წ

ნოტარიუსი: გვანცა მიქიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N10
ტელეფონი: +995 555 55 50 90

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge**
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის პირველ სექტემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს, გვანცა მიქიაშვილს, ჩემ სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N10, მომმართა **ქალბატონმა თამარ გოთუამ** (დაბადებული 25.03.1955 წელს, საქართველოში, თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 21, ბინა 25, პირადი ნომერი 01008002008).

მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება ჩემ მიერ.

მე შევამოწმე მარწმუნებლის პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა. მის პირადობასა და ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შემპარვია. მე, ნოტარიუსმა, წავუკითხე მარწმუნებელს მინდობილობა, მან წაიკითხა, მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ამ მინდობილობას.

მინდობილობა

მე, თამარ გოთუა, გიორგი სულაბერიძეს (დაბადებული 20.08.1982 წელს, საქართველოში, სამტრედიაში, პირადი ნომერი 01011023894), უფლებამოსილებას ვანიჭებ, რომ მართოს ჩემს სახელზე რიცხული უძრავი ქონება, რომლის ს/კ 84.20.38.1028, ჩემი სახელით მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ აუქციონში და საჭიროებისამებრ დაიცვას ჩემი ინტერესები აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით.

მინდობილი პირი უფლებამოსილია, რომ იყოს ჩემი წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, იურიდიულ პირებთან, ფიზიკურ პირებთან, ჩააბაროს და მიიღოს ჩემი სახელით ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაცია და ხელი მოაწეროს მათ, შეასრულოს მინდობილობით განსაზღვრული უფლებების შესასრულებლად კანონით ნებადართული ყველა საჭირო მოქმედება.

მინდობილობის ვადა:

მინდობილობა გაცემულია ორი ათას ოცდაექვსი წლის პირველი ნოემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია 2 (ორი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო 1 (ერთი) - გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 31 და 39 მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად,

ა) ნოტარიუსის საზღაური: 18 (თვრამეტი) ლარი;

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 5 (ხუთი) ლარი;

გ) დღგ: 3 (სამი) ლარი და 0.24 (ოცდაოთხი) თეთრი;

სულ გადახდილია: 26 (ოცდაექვსი) ლარი და 0.24 (ოცდაოთხი) თეთრი.

საქართველოს ნოტარიუსი
გვანცა მიქიაშვილი